ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7591102

ნომერი: AR11103384

თარიღი : 06.08.2025

გაცემის თარიღი : 13.08.2025

გაცნობის თარიღი : 14.08.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სერგი წულაძის ქუჩა, N 34ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1. ვინაიდან ღობე ეწყობა ახალ ადგილზე, საჭიროა შეცვალოთ ნომენკლატურა და ნაცვლად რეკონსტრუქციისა, საკითხი დააყენოთ ახალ მშენებლობაზე, რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის შეცვლის საშუალება წარმოდგენილ განცხადებაზე და საჭიროა ისარგებლეთ შესაბამისი ღილაკით.

2. ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოადგინეთ განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების, სიმაღლის ნიშნულებისა და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით.

3. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო რუკა ზუსტი სპროექტო არეალის დატანით.

4. წარმოდგენილ იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით, შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

5. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს (ს/კ 01.00.287) და შპს „ახალი ქსელები“-ს (ს/კ 01.00.038) ხაზოვანი ნაგებობები, ასევე ნაკვეთთან გადის ს/კ 01.00.086 ხაზოვანი ნაგებობა, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრეების თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მათ მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.

6. ატვირთული მინდობილობა არ არის გაცემული განმცხადებელზე. საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე, გაითვალისწინეთ, №230851833 მინდობილობა, რომლის საფუძველზეც, გრიგოლ სხულუხიას მიენიჭა უფლებამოსილება, ვადაგასულია.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.